სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 136 (250) | ხუთშაბათი, 7 დეკემბერი | 1944 წ.

საბჭოთა მეომრები გამოიბრძმედნენ ბრძოლებში, ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელი არმია მრისხანე ძალა გახდა და სჯობნის მტერს თავისი სამხედრო უნარითა და საბრძოლო ტექნიკით.

(უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის № 220 ბრძანებიდან).

ახალგაზრდა მებრძოლო, ისწრაფე გახდე ღირსეული მეომარი

ამხანაგო! საბჭოთა სამშობლომ შენ დიდი პატივი გცა: შენ გაწვეული ხარ წითელი არმიის — მსოფლიოში ყველაზე მძლავრ, ყველაზე სახელოვან, ყველაზე ძლევამოსილი არმიის რიგებში. დაე, შენი გული გაიმსჭვალოს ბედნიერებითა და სიამაყით იმ ნდობისათვის, რომელიც გამოგიცხადა ჩვენმა სამშობლომ.

ბრწყინვალე ტრადიციებითაა შემოსილი წითელი არმიის საბრძოლო დროშები. დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა, მსოფლიოს უგენიალურესი მხედართმთავრის მარშალ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ სასტიკ ბრძოლებში დაიცვა სამშობლო, გააძევა საძულველი დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან და ამჟამად ანადგურებს გერმანელ ავაზაკებს მათს ფუძინდელ მიწაზე.

შენ, ამხანაგო, ზურგში ცხოვრებისა და შრომის დროს მრავალჯერ გსმენია საბჭოთა მეომრების გასაოცარი გმირობისა და ჩვენი მძლავრი სამხედრო ტექნიკის შესახებ. შენ მოუთმენლად ელოდი იმ დროს, როცა სამშობლო გიბრძანებდა ჯარისკაცი გამხდარიყავი და შესულიყავი გმირთა საბრძოლო ოჯახში.

ეს დღეც დადგა. შენ გაწვეული ხარ წითელი არმიის რიგებში და იწყებ ახალ, მშვენიერ ცხოვრებას, მკაცრი შრომითა და გმირობით აღსავსე ცხოვრებას — ჯარისკაცის ცხოვრებას. ღირსი გახდი ამ სასიხარულო ცხოვრებისა და ეცადე ისე იმსახურო, როგორც ამას მოითხოვს სამშობლო, ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ამხანაგო, შენ ბევრ რამეს გაიგებ წითელ არმიაში. გამოცდილი ოფიცრები და ფრონტელი სერჟანტები იქნებიან შენი მასწავლებლები. შენ ჩასწვდები გამარჯვების კანონებს. ყოველდღიურად შეგასწავლიან მეომრის ოსტატობას, და შენ გაიგებ ჩვენი იარაღის ძალას, ჩვენს წესდებათა სიბრძნეს, ყოველივე იმას, რაც კი აყალიბებს ნამდვილ მებრძოლს — გულადს, მამაცს, სამშობლოსათვის თავდადებულ ჯარისკაცს.

ჯარისკაცურ მეცნიერებაში არ არის „წვრილმანი," — მასში ყველაფერი მნიშვნელოვანია. ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს: ჯარისკაცს უნდა შეეძლოს ბრძანების სწრაფად და სიტყვაშეუბრუნებლად შესრულება, მტრის მიერ სროლის დროს ჩასაფრება, ზუსტი სროლა, მაზარის დახვევა და მოწინააღმდეგის თვალწინ შეუმჩნევლად გადახოხვა, ხიშტის ხმარება, ყაზარმაში საწოლის გაწყობა. და შენ ყოველივე იმას შეგასწავლიან.

შენ მოგელის არა უდარდელი, იოლი ცხოვრება, არამედ მკაცრი, საბრძოლო სიძნელეებით აღსავსე შრომა. ჯარისკაცური მეცნიერება მძიმე მეცნიერებაა. ჯერ კიდევ უკვდავი სუვოროვი ამბობდა: „ძნელია სწავლაში, იოლია ბრძოლაში." და შენ, ამხანაგო, უნდა გააკეთო ყოველივე, რომ გაამართლო სამშობლოს ნდობა და გახდე ნამდვილი ჯარისკაცი.

დადგება საზეიმო დღე, და შენ მეგობრებთან ერთად ფიცს დასდებ, ფიცს დასდებ შენი პოლკის საბრძოლო დროშებთან. და ეს დღე სამუდამოდ დარჩება შენს მეხსიერებაში, რადგან ამ დღეს შენ შეგიძლია სთქვა: მე შევფიცე სამშობლოს და ნამდვილი ჯარისკაცი გავხდი.

ახალგაზრდა მებრძოლო! დეკემბერ-იანვრის განმავლობაში შენს წინაშე სდგას დიდი ამოცანები — შეისწავლო საერთო-სამხედრო დისციპლინები „კარგზე" და „ფრიადზე".

კერძოდ, საბრძოლო მომზადების ერთ-ერთ ძირითად ნაწილში — საცეცხლე მომზადებაში, შენ უნდა შეისწავლო შაშხანის მატერიალური ნაწილი, აითვისო სროლის სხვადასხვა ჩვევები, შესძლო შაშხანის მომზადება მთებში და ღამე სროლისათვის, სამიზნოების 100 მეტრამდე მანძილის თვალთაზომით განსაზღვრა. ამასთან ერთად უნდა მოემზადო და მხოლოდ „კარგზე" და „ფრიადზე" შეასრულო პირველი ვარჯიში საცეცხლე მომზადების 1938 წლის კურსისა და ომიანობის დროის ცვლილების მიხედვით.

მებრძოლო, საცეცხლე მომზადებასთან ერთად უნდა დაეუფლო ტაქტიკურ მოქმედებათა ხერხებს, უხმაუროდ უნდა შეასრულო მეთვალთვალის, მეკავშირის მოვალეობანი, გაბედულად და შეუპოვრად შეუტიო, მოახდინო სწრაფი გადარბენა, გადახოხვა, ჩინებულად დაეუფლო ნიჩაბსა და წერაქვს თვითჩასანგრებისათვის. შენ უნდა შეისწავლო სწრაფი იერიში, სხვადასხვა დაბრკოლებათა გადალახვა, უნდა იცოდე, თუ როგორ მიჰყვე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის ზვავს, მტრის მოსპობა ცეცხლით, ხიშტით, გრანატითა და ნიჩბით ტრანშეებსა და გასასვლელებში, უნდა შესძლო 15-20 კილომეტრიან მარშში მონაწილეობა და აითვისო ტაქტიკური მომზადების მთელი რიგი სხვა ელემენტები.

სამწყობრო მომზადება, ფიზმომზადება, საინჟინრო საქმე, წესდებანი და დარიგებანი უნდა შეისწავლო ისე, რომ შესძლო თანამედროვე ომის წარმოება.

მებრძოლო! აი, შენი მთავარი ამოცანები უახლოეს დროში. დაძაბე მთელი შენი ძალ-ღონე, მთელი შენი მისწრაფება, ნუ დაიზარებ ოფლის დაღვრას სწავლის დროს. არც ერთი წუთი არ დაჰკარგო, — ისწავლე კარგად, მთელი შენი ძალები გამოიყენე და შენ გახდები ძლევამოსილი წითელი არმიის ღირსეული მეომარი.

ი. ბ. სტალინის საუბარი საფრანგეთის მთავრობის მეთაურ გენერალ დე გოლთან

6 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გენერალ დე გოლთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირში ბ-ნი რ. გარო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი მ. დეჟანი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

6 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე ბალატონის ტბასა და მდინარე დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დუნაპენტელე, რაცალმაში, ხერცეგფალვა, ალაპი, ფელე, შარ ეგრეში, შიმონტორნია, შარბოგარდი, ხილაშ-ბალხაში, ლაიოშ-კომარომი, ადანდი, ბალატონსაბადი და რკინიგზის სადგურები დუნაპენტელე, ნადივენიმი, ხერცეგფალვა, შიმონტორნია, შარბოგარდი, მეზე-კომარომი. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა უტევენ, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ფონიოდი, კერესტური, ბერენი, ბალატონ-უილაკი, კეტელი, მესტეგნე, სენა, ხელიცი, კიშფალუდი, კაპოშფე, ხომოკ-სენტ-დიერდი, კალმანჩა, ისტვანდი, დარანი, დრავა-ტამაში და რკინიგზის სადგურები ფონიოდი, კერესტური, კეტელი, [illegible]ტაპუსტა, სენტ იმრე, ნად-უიფალუ, კოშტელიეშ დომბო, დარანი.

3 და 4 დეკემბრის ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2.875 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იუგოსლავიაში მდინარეებს დუნაისა და სავას შუა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა, რომლებიც ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შიდი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები შარენგრადი, მოხოვო, ოპატოვაცი, ლოვასი, მალაია ვაშიცა, ბიზარცი, ბაჩინცი, კუკუევცი, კუზმინი, ადაშევცი, მოროვიჩი და რკინიგზის სადგურები ადაშევცი, მოროვიჩი, ბაჩინცი, კუკუევცი-ერდევიკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

5 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში ბალატონის ტბასა და მდინარე დუნაის შუა მოწინააღმდეგემ გაძლიერებული თავისი შეგროვილი ჯარები ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით. ბრძოლები მრავალჯერ ხელჩართულ შეტაკებაში გადადიოდა. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ მდინარე დუნაის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ, იერიშით განდევნეს გერმანელები მაღლობი თავდაცვითი ზღუდიდან და დაიკავეს პუნქტი რაცალმაში, რომელიც 50 კილომეტრზე მდებარეობს ბუდაპეშტის სამხრეთით. სხვა ჩვენმა ნაწილებმა დაძაბული ბრძოლების შემდეგ გადალახეს კაპოშისა და ელეშის არხები და გაანადგურეს გერმანელთა თავდაცვა, რომელიც აგებული იყო ამ წყლის დაბრკოლებების ჩრდილოეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგემ სცადა მდგომარეობის აღდგენა და ზედიზედ ათრამეტჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა ძლიერი ცეცხლით მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები და, განაგრძობენ რა მოწინააღმდეგის შევიწროებას, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევენ წინ. ქალაქ კაპოშვარის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა გვარდიულმა ნაწილებმა გადალახეს ძნელად გასავლელი ჭაობები, დაიკავეს ბალატონის ტბის ნაპირზე დიდი დასახლებული პუნქტი და საკურორტო ფონიოდი. ამრიგად, ტბის თითქმის მთელი სამხრეთი ნაპირი დაკავებულია ჩვენი ჯარების მიერ. ქალაქ სიგეტვარის დასავლეთით გერმანელთა ცდა — გამაგრებულიყვნენ მდინარეებისა და ტბების ზღუდეებზე — დაძლეულ იქნა საბჭოთა ჯარების სწრაფი დარტყმებით. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, მიატოვა ტექნიკა, საჭურველი და სამხედრო საწყობები. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი. მარტო 5 შენაერთის მებრძოლებმა წაართვეს გერმანელებს ორი ტანკი, 26 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, 80 საწყობი, 800 ცხენი და სხვა ალაფი.

* * *

ქალაქ იელგავის (მიტავის) დასავლეთით ჩვენი მებრძოლების რაზმმა ბრძოლით დაზვერვა მოაწყო. საბჭოთა მზვერავები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში და მოსპეს 40 გერმანელი. ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო ტყვეები, 2 ტყვიამფრქვევი და საწყის ზღუდეზე დაბრუნდა.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში უფროსი ლეიტენანტ ასმაკოვის მებრძოლთა ჯგუფმა შეაღწია გერმანელთა განლაგებაში და ზურგიდან მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის საბრძოლო დაცვაზე. გრანატებითა და ავტომატების ცეცხლით მზვერავებმა მოსპეს ჰიტლერელთა ჯგუფი. მიუხედავად ნისლისა და თოვლჭყაპისა, საბჭოთა მფრინავებმა თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ზურგს, დაამსხვრიეს სამი ორთქლმავალი და 10 ავტომანქანა ტვირთითურთ.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტზე მოწინააღმდეგესთან საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ერთ უბანზე გერმანელთა რაზმმა იერიში მიიტანა ჩვენს საბრძოლო დაცვაზე. საბჭოთა მებრძოლებმა უკუაგდეს მტერი და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას. უფროსი სერჟანტ ილიინის გვარდიის ნაღმსატყორცნებმა სამი დღის განმავლობაში გაჟლიტეს 20-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ტყვედ დანებდა უნგრეთის 70-ე პოლკის ასზე მეტი ჯარისკაცი. მე-3 ბატალიონის სანაღმსატყორცნო ოცეულის ტყვე სერჟანტმა შანდორ ცოკანმა განაცხადა: „ჩვენი პოლკი დიდი ზარალით უკუგდებულ იქნა მდინარე ტისის გაღმა. ამ ფრონტისათვის პირველი ბატალიონი ჯერ თითქმის მთლიად მოსპობილი იყო. ბევრმა ჯარისკაცმა თავი შეაფარა არეულობას და რუსების მხარეზე გადმოვიდა. შესვენების დროს პოლკოვნიკმა რიგში ჩაამწკრივა პოლკი, რომელშიც სულ 180 კაცი დარჩენილიყო, და სიტყვა წარმოსთქვა. მან ლანძღვა-გინებით მოგვმართა და განაცხადა: „მე თქვენ გაგჟლეტთ ათობით, იმ ოფიცრებს, რომლებიც უკან გაიქცევიან, ჩამოვახრჩობ, ჯარისკაცებს კი დავხვრეტ". იმავე დღეს ჩვენ თავდაცვის ახალ ზღუდე დავიკავეთ. ღამით მოიხმო რამდენიმე ჯარისკაცი და გვაცნობა, რომ მეზობელი ასეული მთლიანად გადავიდა რუსების მხარეზე და რუსები ჩვენს პოზიციებს უახლოვდებიან. მალე ჩვენს სანგრებთან გამოჩნდა წითელარმიელთა ჯგუფი. ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. იარაღი და საომარი მასალა დავყარეთ რუსებისათვის ჩასაბარებლად. წითელარმიელთა ბადრაგქვეშ ჩვენ ტყვედ წამოგვიყვანეს. გზაში შემოგვიერთდა კიდევ 57 ჯარისკაცი იმ ასეულიდან, რომელიც ჩვენზე წინ იმყოფებოდა".

სხვა უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრეთის მე-2 სატანკო დივიზიის მე-3 მოტოპოლკის 1-ლი ბატალიონის სატანკო ეკიპაჟი. ჩვენს მხარეზე გადმოსულმა ლითონ ეფრეიტორმა განაცხადა: „ჩვენი ტანკის ეკიპაჟს ხუთი კაცის შემადგენლობით არ სურდა გერმანელთათვის ეომნა. ჩვენ გადავწყვიტეთ ტყვედ დავნებებოდით. როცა ჩვენს უბანზე რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ, შევთანხმდით, ტანკის მოტორი დაზიანებულიათქო. ჩვენ გვიბრძანეს დაუყონებლივ შეგვეკეთებინა მოტორი და მივსულიყავით ბატალიონის შტაბში. მე და ჩემი ამხანაგები მოტორთან ვფუსფუსებდით, ვითომ დაზიანებას ვასწორებდით. როდესაც რუსები მოახლოვდნენ, შეფერმა გვიბრძანა ავეფეთქებინა ტანკი და უკან დავეხიეთ, მაგრამ ჩვენ ბრძანება არ შევასრულეთ და დაველოდეთ წითელი არმიის მოსვლას. როგორც კი რუსები სოფელში შემოვიდნენ, ჩვენ მაშინვე შევაყენეთ ტანკი და გადავეცით იგი საბჭოთა ოფიცერს".

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედალ „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ დაწესებისა და ამ მედლით საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

1. დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და დაწესდეს სპეციალური მედალი **„საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“**.

2. მედლით **„საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“** დაჯილდოებულ იქნას საბჭოთა იმიერპოლარეთის გმირული დაცვის ყველა მონაწილე.

3. დამტკიცდეს დებულება მედლისა **„საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“**.

4. დამტკიცდეს ნიმუში და აღწერილობა მედლისა **„საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 5

დებულება

მედლისა „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“

1. მედლით „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ ჯილდოვდებიან იმიერპოლარეთის დაცვის მონაწილენი — წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების სამხედრო მსახურნი, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის პირნი, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს დაცვაში.

2. მედლის გადაცემა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ იმიერპოლარეთის დაცვაში ფაქტიურ მონაწილეობას და რომლებსაც გასცემენ ნაწილთა მეთაურები, სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებათა უფროსები და შრომელთა დეპუტატების შესაბამისი საოლქო და საქალაქო საბჭოები.

3. მედალს გადასცემენ:

წითელი არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების საჯარისო ნაწილებში მყოფ პირთ, — საჯარისო ნაწილების მეთაურები, ხოლო არმიისა და ფლოტის შემადგენლობიდან გასულ პირთ, — საოლქო-საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისრები დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

სამოქალაქო მოსახლეობის პირთ — საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვის მონაწილეთ — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საოლქო და საქალაქო საბჭოები.

4. მედალს „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე. თუ არის ორდენები და სხვა მედლები აქვს, მედალს „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ (ან მის ლენტს, თუ ლენტს უმედლოდ ატარებს) ატარებს მედლის „კავკასიის დაცვისათვის“ შემდეგ.

5. დაცვის დროს წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულ ან გარდაცვლილ პირთა მედალი „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ და მედლის მოწმობა გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა პარტიაში რეკომენდაციისათვის

რეკომენდაციაზე ხელმოწერილია, კომუნისტი არონიშვილი რეკომენდაციას აძლევს პარტიის წევრობის კანდიდატს ამყოლაძეს.

— იცოდე, არ შემარცხვინო, — ეუბნება იგი ამხანაგს, თუმცა დარწმუნებულია, რომ ამყოლაძე მას არ შეარცხვენს. არა ერთხელ და ორჯერ ისაუბრეს მათ თავისუფალ დროს. არონიშვილმა აუხსნა ამხანაგს, თუ რას მოითხოვს პარტია კომუნისტებისაგან სამამულო ომის დღეებში. დაწვრილებით გააცნო საკ. კ. პ. (ბ) წესდების დებულებანი, დაუხატა მას ამხანაგ სტალინის წიგნის—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ — უმნიშვნელოვანეს დებულებათა გაგებასა და შეგნებაში.

ერთ-ერთი საუბრის დროს არონიშვილმა გამოარკვია, რომ ამყოლაძე სისტემატურად არ მუშაობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესასწავლად. მაშინ მან ურჩია და დამაჯერებლად მოუთხრო მას, თუ რას აძლევს მოკლე კურსის შესწავლა, რატომ უნდა იცოდეს ყოველმა კომუნისტმა თავისი პარტიის ისტორია. ამის შემდეგ მან არა ერთხელ ჰკითხა ამხანაგს, თუ როგორ სწავლობს იგი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას, თვალყურს ადევნებდა მის კონსპექტებს, უხსნიდა ყველაზე უფრო ძნელ თავებს.

ასე დაეხმარა კომუნისტი არონიშვილი კანდიდატ ამყოლაძეს მომზადებულიყო პარტიაში წევრად შესასვლელად. ის ამყოლაძეს იცნობდა, როგორც დისციპლინიანს, მტკიცე და შეგნებულ მეომარს. მას შეეძლო საქმეებით დარწმუნებულიყო თავის რეკომენდაციაში.

ჩვენი ასეულის კომუნისტების უმეტესობას, არონიშვილის მსგავსად, ესმის, რომ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შემსვლელ ამხანაგს რომ რეკომენდაცია მისცე, პირველყოვლისა, კარგად უნდა იცნობდე მას, არა მარტო იცნობდე, არამედ გასინჯავდეს რა შენი პასუხისმგებლობა რეკომენდებულისათვის, სისტემატურად დაეხმარო მას ამაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე. სწორედ ასე იქცევა ჩვენი ასეულის კომუნისტების უმეტესობა, მაგრამ ყველა ასე როდი იქცევა. არის შემთხვევები, როცა ცალკეული კომუნისტები, რეკომენდაციას აძლევენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ახლოს არ იცნობენ, ან სრულიად უცნობ პირებს.

კომუნისტმა ულიანოვმა რეკომენდაცია მისცა წითელარმიელ ვალიევს. პარტიულ კრებაზე გამოირკვა, რომ ვალიევი თავდადებული, უდისციპლინო მებრძოლია. პარტიაში მიღებაზე მას უარი უთხრეს. როდესაც ულიანოვს ჰკითხეს, თუ რით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც ვალიევს რეკომენდაციას აძლევდა, მან უპასუხა:

— მე მეგონა, რომ იგი კარგი ჯარისკაცია.

ამ ფაქტმა მე, როგორც პარტორგი, მეტად ამაღელვა. რას მეტყველებს იგი? იმას, რომ ზოგიერთ ჩვენ კომუნისტს ავიწყდება ის მოთხოვნები, რომლებსაც რეკომენდატორებს უყენებს საკ. კ. პ. (ბ) წესდება, ავიწყდებათ პასუხისმგებლობა თავიანთი რეკომენდაციისათვის. ჩვენ, პარტორგები კი, მათ ამის შესახებ არ ვახსენებთ ხოლმე.

რეკომენდაციების მიღების დროს ჩვენ ხშირად უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ საქმის ფორმალურ მხარეს — დოკუმენტების სწორად გაფორმებას, ამის გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა დაინტერესდე აგრეთვე იმითაც, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან კომუნისტები რეკომენდაციების მიცემას, მართლაც კარგად იცნობენ თუ არა ისინი იმ ამხანაგებს, რომელთაც აძლევენ რეკომენდაციას, ესმით თუ არა თავიანთი პასუხისმგებლობა რეკომენდებულთათვის. გულახდილად ვიტყვი, თვითონ მე რეკომენდატორებთან იშვიათად ვსაუბრობ. აი, რატომაა, რომ ჩვენთან ისეთი კომუნისტებიც გვხვდება, როგორიც არის, ამყოლაძე, არიან ისეთნიც, როგორიც ულიანოვია. მან მისცა რეკომენდაცია ისეთ კაცს, რომელსაც არ იცნობდა.

ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა იმათ მიმართ, რომელთაც ისინი რეკომენდაციას აძლევენ, მოვაწყოთ ისე, რომ ისინი ეხმარებოდნენ ამ ამხანაგებს,—აი, ეს არის ასეულის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა.

ეფრეიტორი მ. ცეკავა,
ასეულის პარტორგი

დიმიტრი გორგილაძე

კაპიტანი დიმიტრი მიქაელის-ძე გორგილაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ეძანის მკვიდრი, ჩვენს ქვედანაყოფში მოსვლის პირველი დღიდან ნამდვილი მამა გახდა მებრძოლებისათვის. საბრძოლო ეწრთან და მამაცობასთან ერთად იგი მებრძოლებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს.

ერთხელ დასაბლებული პუნქტის ქუჩაზე მივდიოდით. საშინელი ყინვაები დღე იყო. გვეყინებოდა ყურები, ხელ-ფეხი. ამ დროს შეგვხდა მებრძოლთა ჯგუფი, რომლებიც თავდაცვის ხაზს იგებდნენ. ყველა მებრძოლს ხელთათმანი ეცვათ, მხოლოდ ერთს, სულ ახალგაზრდა მებრძოლს არ ჰქონდა. კაპიტანმა შეამჩნია ეს და დაუძახა:

— რა გვარი ხარ?—ჰკითხა.

— სერგეი მიხალჩუკი.

— რატომ ხელთათმანი არა გაქვს?

— დღეს მოვედი პირველად ნაწილში და ჯერ მიუღებელი მიღება.

კაპიტანმა გორგილაძემ გაიძრო თავისი თბილი ხელთათმანი, რომელიც წინადღეს თბილისელი ქალიშვილისაგან მიიღო საქართველოდან და გაუწოდა მებრძოლს. მან ჯერ უარი სთქვა,

მაგრამ როდესაც კაპიტანმა უბრძანა, სიხარულით გაიკეთა ხელზე.

ერთ ღამეს დაჭრილი სერჟანტი, რომლის წაყვანა ვერ მოესწრო ჰოსპიტალში, ძალიან ცუდად გახდა, გონი დაკარგა და სიცხისაგან ბოდავდა. მის სასთუმალს მიუჯდა კაპიტანი გორგილაძე და მთელი ღამის განმავლობაში უვლიდა მორიგე ექიმის მოსვლამდე.

კაპიტანი გორგილაძე მამაცი და შეუპოვარია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყირიმში, კავკასიის მისადგომებზე, ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბელორუსია, იყო პოლონეთში, ითვისუფლებდა ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკას და ახლა ურტყამს დაჭრილ ფაშისტ მხეცს მისსავე ბუნაგში—აღმოსავლეთ პრუსიაში.

კაპიტანი გორგილაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

გვარდიის კაპიტანი ჯამშიდ ამიროვი
აღმოსავლეთ პრუსია

სამაგალითო უმცროსი მეთაური

სერჟანტი მამედოვი დაუღალავად ზრუნავს პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისთვის. მან საფუძვლიანად იცის შაშხანის, დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნისა და ხელის გრანატის მატერიალური ნაწილი. ამიტომაც მიზანს აუცდენლად ურტყამს.

ოცეული, რომლის მეთაურის თანაშემწედ მამედოვია, ახალ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. დაიწყო მეცადინეობის პირველი დღეები. ამხ. მამედოვი ენერგიას არ იშურებს, რომ მტკიცედ შეინარჩუნოს ოცეულის მიერ მოპოვებული წარმატებები.

სერჟანტი პ. ჯაფარიძე.

პოლკოვნიკი ი. კოროტკოვი

დიდი ბრძოლა მოსკოვისათვის

სამი წლის წინათ წითელმა არმიამ მოსკოვთან გაანადგურა გერმანელ დამპყრობთა რჩეული ჯარები და უკუაგდო ისინი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქიდან. ახლა, როცა საბჭოთა მეომრებმა მთელი რიგი ბრწყინვალე დარტყმების შედეგად გაქელეს მილიონობით ფაშისტი მკვლელი, განდევნეს ჰიტლერელთა ურდოები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან და საომარი მოქმედება მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს, ახალი ძალით წარმოგვიდგება საბჭოთა დედაქალაქისათვის ისტორიული ბრძოლის სიდიადე.

მოსკოვისათვის 1941 წელს გაჩაღებული ბრძოლა დიდი სამამულო ომის ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა სარდლობის ოპერატიული ოსტატობისა და წითელი არმიის ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი. ამასთან ერთად ეს არის უძლიერესი ნიმუში საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმისა, მამაცობისა და მგზნებარე სიძულვილისა გულქვა და ვერაგი მტრისადმი, რომელიც თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. მოსკოვთან წითელმა არმიამ პირველად გააქარწყლა გერმანელების მითი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ, მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ გერმანელ დამპყრობთა დამარცხება შესაძლებელია.

საბჭოთა დედაქალაქისათვის ბრძოლა გაჩაღდა ჩვენი სამშობლოსათვის მრისხანე უთარიღებში. ჰიტლერულმა სარდლობამ წითელი არმიის ელვისებური განადგურების თავისი გეგმების ჩაფუშვის შემდეგ მიზნად დაისახა ბოლო მოეღო საბჭოთა კავშირისათვის ზამთრის დადგომამდე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გერმანელებმა აირჩიეს მოსკოვის სტრატეგიული მიმართულება და თავი მოუყარეს აქ დიდ ძალებს. საბჭოთა კავშირის დედაქალაქის დაკავებას ფაშისტური სარდლობის ვარაუდით უნდა გამოეწვია სსრ კავშირის კაპიტულაცია და აღმოსავლეთში ომის დამთავრება.

თუ რამდენად დარწმუნებული იყვნენ ჰიტლერელები თავიანთი განზრახვის წარმატებაში, ეს ჩანს ჰიტლერის ბრძანებიდან აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებისადმი 1941 წლის 2 ოქტომბერს: „რამდენიმე კვირის განმავლობაში სამი ძირითადი სამრეწველო რაიონი მთლიანად ჩვენს ხელში იქნება, — სწერდა ჰიტლერი ამ ბრძანებაში.—ბოლოს, შექმნილია წინაპირობა უკანასკნელი უდიდესი დარტყმისათვის, რომელმაც ჯერ კიდევ ზამთრის დადგომამდე უნდა გამოიწვიოს მტრის მოსპობა“. 1941 წლის 2 ოქტომბერს გერმანიის ჯარებმა—საერთო რაოდენობით 70-75-მდე დივიზიამ—დაიწყეს შეტევა მოსკოვზე. 450-მდე კილომეტრის სიგრძის ფრონტზე გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. საბჭოთა ჯარები მედგრად შეხვდნენ მტრის გაშმაგებულ შეტევას. ბრძოლამ თავიდანვე ჯიუტი და მწვავე ხასიათი მიიღო.

ფაშისტთა დივიზიების შეტევას დაუპირისპირდა საბჭოთა ჯარების შეუპოვარი თავდაცვა. იგი ღრმა იყო და ითვალისწინებდა იმას, რომ მტრის განკარგულებაში ტანკების დიდი მასა იყო. მოსკოვის შორეულ და ახლო მისადგომებზე შეიქმნა მთელი რიგი თავდაცვითი ზოლები, რომელთა აგებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ათიათასობით მშრომელმა. დედაქალაქის მშრომელებმა მილიონობით კაცსათი დახარჯეს ამ ზოლების მშენებლობაზე.

ჩვენი ჯარები ეყრდნობოდნენ თავდაცვითს ზოლებს, ჰქონდათ მოწინააღმდეგის და აყენებდნენ მას დიდ ზარალს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ამაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ყველა სახისა და ყალიბის საბჭოთა არტილერიამ. მან თავისი ზუსტი ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის მრავალი ათეული ტანკი. გერმანელებმა უდიდესი დანაკარგების ფასად მოახერხეს წინ წამოწეულიყვნენ რამდენიმე ათეული კილომეტრით და გამოსულიყვნენ მოსკოვის შორეულ მისადგომებზე. მაგრამ მოკავშირეების გამაგრებული პოზიციების ხაზზე მტერი ნოემბრის დამდეგს შეჩერებულ იქნა.

19 ოქტომბერს მიღებულ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომლითაც დაისახა გადამწყვეტი ღონისძიებანი დედაქალაქის დასაცავად და მტრის განადგურების მიზნით ლიტერად. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის გამოსვლებს 1941 წლის 6 და 7 ნოემბერს და მოსკოვის სამხედრო პარადს 7 ნოემბერს. სიდინჯით და გამარჯვების რწმენით აღსავსე სიტყვები გაისმა მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში და კიდევ უფრო დარაზმა საბჭოთა ხალხი ულმობელი ბრძოლისათვის ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

გერმანელთა ხანგმა, მოსკოვზე პირველ, ოქტომბრის შეტევაში დამარცხება რომ განიცადა, დაიწყო მზადება მეორე დარტყმისათვის. დედაქალაქის დასაკავებლად გათვალისწინებული ძალები ამჯერად გადიდებულ იქნა 51 დივიზიამდე, მათ შორის იყო 13 სატანკო დივიზია, ე. ი. მთელი იმ სატანკო დივიზიების ნახევარი, რაც მაშინ გერმანიას გააჩნდა. ამ ჯარებს ჰიტლერმა უბრძანა „უახლოეს დროში, რადაც უნდა დასჯდომოდათ, აეღოთ დედაქალაქი მოსკოვი“.

გერმანიის სარდლობის ოპერატიული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერი სატანკო ჯგუფების დარტყმებით გაერღვიათ საბჭოთა ჯარების ფრონტი მოსკოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით და გასულიყვნენ მის აღმოსავლეთით, რაშიც მოექციათ საბჭოთა დედაქალაქი. მტერს უნდოდა გვერდიდან მარწუხში მოემწყვდია ჩვენი დედაქალაქი და შემდეგ განეხორციელებინა დარტყმა შუბლიდან. ეჭვი არ იყო გეგმა გათვალისწინებული მტაცებლისა, რომელიც მიეჩვია იოლ გამარჯვებებს

რა უნდა იცოდეს ახალგაზრდა მებრძოლმა

ვინ არის შენი მეთაური?

საღამოს ამოძახებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი. ათეულის მეთაური მორიგი მეცადინეობისათვის ემზადებოდა, კონსპექტს ადგენდა. ყაზარმის კუთხეში, ეფრეიტორ ტროფიმე თელორეს-ძე კაცუბას ირგვლივ შეკრებილიყვნენ ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებმაც მხოლოდ გუშინწინ ჩაიცვეს სამხედრო ფორმა. ისინი ნაცად მებრძოლს ეკითხებოდნენ, თუ როგორ უნდა ისროლონ ავტომატით, რამდენს იწონის შაშხანა, მალე გაგზავნიან თუ არა ფრონტზე...

ეფრეიტორი საფუძვლიან პასუხებს აძლევდა. რიგითი მებრძოლები — გუშინდელი კოლმეურნენი, სტუდენტები და მუშები, — მას დიდის ყურადღებითა და ინტერესით უსმენდნენ. მებრძოლმა სინელნიკოვმა ეფრეიტორს ჰკითხა, თუ რატომ ჰქონდა მას სახეზე ჭრილობის ნიშანი.

ტროფიმე თელორეს-ძე ერთი წუთით გაჩუმდა, მერე შავი ულვაშები დაიგრიხა და სთქვა:

— განა ღირს ამაზე ლაპარაკი! უკეთესი იქნება, მე თქვენ გიამბოთ ჩემი მეგობრის შესახებ. ჩვენ ერთ ასეულში ვიყავით და ერთადვე ვიბრძოდით.

მებრძოლები ეფრეიტორს უფრო ახლო შემოეხვივნენ.

— 1942 წლის შემოდგომაზე, — დაიწყო კაცუბამ, — ჩვენ თავდაცვა გვეკავა მალგობეკის მაღლობებზე. ჩვენს ასეულში შევსება მოვიდა. ყველამ უცბათ შენიშნა ახალგაზრდა ყმაწვილი. ის სტავროპოლელი იყო, გვარად ალექსეევი. ასეც შევარქვით მას, — სტავროპოლელი პეტია. ახალგაზრდა ჯარისკაცი იყო, გამოუცდელი. თავდაცვაში შეუდრეკელი იყო, შეტევაზე გადასვლის დროს კი ყოველთვის პირველი მიდიოდა.

— მე ჩემი ანგარიში მაქვს გერმანელებთან, — ამბობდა ხოლმე ის ყოველი ბრძოლის წინ.

ანგარიში კი ასეთი ჰქონდა: ორი ძმა ყირიმში დაეღუპა, მამა კი დაუჭრეს. ის სამაგიეროს უზღავდა გერმანელებს ძმების სისხლისათვის, მამის ჭრილობათა გამო, სტავროპოლშინისა და ყველა იმ ტანჯვა-წამებისათვის, რომელიც ფაშისტებმა მოგვაყენეს ჩვენ.

— მახსოვს ერთი იერიში. გერმანელები ძალიან გამხეცდნენ. მარცხნიდან—ძელმიწური საცეცხლე წერტილიდან ტყვიამფრქვევს გვიშენდნენ. ჩავსანგრდით, ვერც წინ მივდიოდით, ვერც უკან. თავს მაღლა ვერ ვწევდით. ამოცანა უნდა შევასრულოთ, ჩვენ კი ვწევართ. გადის ხუთი, ათი წუთი. უცბად მარჯვნიდან ავტომატების ხმა მოგვესმა. და გერმანელთა ტყვიამფრქვევი ჩაჩუმდა. როდესაც კვამლი გაიფანტა, ვხედავთ, მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტზე ჩვენი პეტია ალექსეევი დგას.

— წინ, გავყვეთ სტავროპოლელს! — დაიძახა რომელიღაც მებრძოლმა. და მთელი ასეული იერიშზე გადავიდა. გერმანელები გვიშენდნენ ნაღმსატყორცნისა და ავტომატის ცეცხლს, მაგრამ ჩვენი შეჩერება აღარ შეეძლოთ.

— აი, ეს ყმაწვილი მართლაც გმირი ყოფილა! — შენიშნა მებრძოლმა სინელნიკოვმა, რომელიც ეფრეიტორის გვერდით იჯდა.

— აი კიდევ ერთი შემთხვევა, — განაგრძობდა კაცუბა, — ეს იყო კრასნოდართან. ყუბანი გადავლახეთ და იერიშზე გადავედით. გერმანელთა ტრანშეებში შევიჭერით. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ოცეულის მეთაურს მეკავშირედ ალექსეევი ჰყავდა. ვხედავ ტრანშეაში მორბის ოცეულის მეთაური. უცბით შემოსახვევიდან შაშხანებით ხელში ორი გერმანელი გამოხტა, რომლებიც ოცეულის მეთაურს გადაეღობნენ. მე მინდოდა გამოვმხტარიყავი და მეთაური მკერდით დამეცვა, მაგრამ შორს ვიყავი. ჩემს წინ მირბოდა სტავროპოლელი პეტია. ჩვენმა მეთაურმა პირველი გერმანელი ავტომატის ჯერით დააწვინა. შემდეგ კი, ვაზნები გამოელია თუ დისკი გაუფუჭდა, უცბად ალექსეევი გადახტა ტრანშეის კედელსა და მეთაურს შორის და გაიქცა წინ. გერმანელს ესროლა, მაგრამ ააცდინა. გერმანელმა ხიშტი მთელი ძალით ალექსეევს მკერდში აძგერა.

— ხიშტი სჩხვლიტა?

— საიკვდილოდ? — გაისმა ხმები.

— ნუ იჩქარებით, — მშვიდად უპასუხა კაცუბამ მოუთმენელ მსმენელებს.

— ჩვენმა მეთაურმა, ლეიტენანტმა გრეჩნევმა ჰიტლერელს ავტომატი ჩაარტყა თავში, მე კი ყოველ შემთხვევისათვის მოკლე ჯერი დავუშინე გერმანელს. ჩვენი პეტია კი თვალდახუჭული წევს.

— ეჰ, დაიღუპა ყმაწვილი, — ვფიქრობთ ჩვენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ის თვალებს ახელს და ოდნავ გასაგონი ხმით გვეკითხება:

— ჩვენი მეთაური ცოცხალია?

მისგან მეტი აღარაფერი გაგვიგონია. ეტყობოდა ცნობიერება დაჰკარგა. წაიყვანეს პეტია სანიტარულ ბატალიონში და დავშორდით ერთმანეთს, გვენანებოდა ყმაწვილი, ის ხომ ნამდვილი გმირი იყო.

— ისე რომ დაიღუპა?

— ნუ ჩქარობთ! ყველაფერს გაიგებთ...

— მე იმ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოვჯანსაღდი და კვლავ ფრონტზე მოვხვდი. მაშინ ბრძოლები ნიკოლაევთან სწარმოებდა. აი, იქ გრანატის ნამსხვრევმა ლოყა ოდნავ გამიკაწრა.

ყველამ შეხედა ეფრეიტორს ლოყაზე აღბეჭდილ ჭრილობის ნიშანზე, მკერდზე დაკერებულ ოქროს ზოლებზე, რომლებიც მეტყველებდნენ მტერთან ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებზე, შესცქეროდნენ აგრეთვე მედლებზე, მის გმირობას რომ მოწმობდნენ.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ მებრძოლმა სინელნიკოვმა იკითხა:

— პეტია სტავროპოლელს მეტი აღარ შეხვედრიხართ?

— შევხვდი, — ღიმილით უპასუხა ეფრეიტორმა.

— მაშასადამე, ცოცხალი ყოფილა?

— დიახ, ცოცხალია! ოდესასთან იბრძოდა და ხელახლა დასჭრეს. გამოჯანსაღების შემდეგ სარეზერვო ნაწილში გააგზავნეს. სასწავლო ბატალიონში სერჟანტის წოდება მიიღო და მსროლელი ათეულის მეთაურად დანიშნეს.

— ნეტავი ერთი გვანახა ის გმირი. როგორია გარეგნულად?

— როგორი? ტანმაღალია, წარმოსადეგი, ჭრილობის სამი ნიშანი უკეთია, მკერდს უმშვენებს წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

— სად არის ახლა ის?

— აგერ ისიც მოდის, — საჩქაროდ სთქვა ეფრეიტორმა კაცუბამ, — ჩვენი ათეულის მეთაური პეტრე თელორეს-ძე ალექსეევი.

— ადექით!

კაპიტანი ი. რიჟენკო.

საბჭოთა კავშირში



ილიჩის სახელობის შახტი—სემივოლოსელთა მოძრაობის სამშობლო—ჰიტლერელებმა ძირფესვიანად მოსპეს. ამ შახტის ყოფილმა მებურღავემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ი. სემივოლოსმა, ამჟამად სამადნოს სამმართველოს მმართველმა, შახტი სარეკორდოდ მოკლე ვადაში მოამზადა ასამუშავებლად. სურათზე: ამხ. სემივოლოსი (მარცხნივ) შახტის დათვალიერების შემდეგ თავის თანამშრომლებს უზიარებს შთაბეჭდილებებს.

ფოტო რ. მაზელევისა. (ტასის ფოტოქრონიკა).

500.000 ქილა კონსერვი გეგმის გადამეტებით

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად სამტრედიის საკონსერვო ქარხანამ 1944 წლის საწარმოო გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის 102 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 2.110.000 ქილა კონსერვისა, 11 თვეში გამოშვებულია 2.153.000 ქილა კონსერვი, მათ შორის უმაღლესი ხარისხის 1.415.000 ქილა. კომბინატმა ხილბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

სამტრედიელმა მეკონსერვეებმა მამაცი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა პასუხად იკისრეს წლის ბოლომდე ფრონტსა და ქვეყანას მისცენ 500.000 ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი.

ვ. რუსია

*

კრენგოლმის მანუფაქტურის აღდგენა

დაიწყო ესტონეთის უდიდესი საფეიქრო საწარმოს—კრენგოლმის სახელმწიფო მანუფაქტურის აღდგენა. უკვე გაწმენდილია ერთ-ერთი ფაბრიკის კორპუსები და ტერიტორია, შეკეთებულია ხიდები და რამდენიმე მართვა, ლოკომობილი, გაწმენდილია არხი, მომზადებულია ორი გარაჟი, წესრიგში მოჰყავთ საპენტი კორპუსი. (ტასსი).

დამარცხებაში, როგორც შემდგომმა ამბებმა გვიჩვენეს, ეს გეგმა საბჭოთა ხელმძღვანელობის პირობებში ავანტიურისტული აღმოჩნდა.

16 ნოემბერს დაიწყო გერმანელთა მეორე „გენერალური" შეტევა მოსკოვზე. გაშმაგებული ბრძოლები გაჩაღდა ერთდროულად მოსკოვის სტრატეგიული მიმართულების ჩრდილოეთ და სამხრეთ ფლანგებზე. ბრძოლა ოცი დღეს გაგრძელდა. გერმანელები ანგარიშს არ უწევდნენ უდიდეს ზარალს და წინ მიიწევდნენ. აქა-იქ მათ მოახერხეს მისულიყვნენ მოსკოვის ახლო მისადგომებთან.

ჰიტლერულ სარდლობას ეგონა, რომ მის მიერ დასახული მიზნის განხორციელება ახლო იყო. გერმანიის საინფორმაციო ბიურო კვეხნით აცხადებდა, თითქოს „ბოლშევიკების დედაქალაქზე შეტევამ ისე შორს წაიწია წინ, რომ უკვე შეიძლება ქალაქ მოსკოვის შიდა ნაწილის დათვალიერება კარგი ბინოკლით". სინამდვილეში გერმანელებს მოსკოვის მისადგომებში გამოზამთრება კი არ ელოდათ, არამედ წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმა. საბჭოთა ფრონტი მოსკოვთან ძალებს იკრებდა ამ დარტყმისათვის.

საბჭოთა ჯარების უშუალო ზურგში, რომლებიც თავიანთი დედაქალაქისათვის იბრძოდნენ, ხდებოდა ძალთა კონცენტრაციის უზარმაზარი პროცესი. რკინიგზებით განუწყვეტელ ნაკადად მიეშურებოდა ადამიანთა შევსება, იგზავნებოდა იარაღი, საომარი მასალა. თვით მოსკოვი გადაქცეული იყო გიგანტურ სახელოსნოდ, რომელშიც იქმნებოდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ფრონტისათვის. დედაქალაქის დამცველები აღჭურვილნი იყვნენ დაუშრეტელი ენერგიით და მტერზე გამარჯვების შეუდრეკელი ნებისყოფით.

სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის მძიმე დღეებში წითელი არმიის ჯარებმა გვიჩვენეს მაღალი, უბადლო გმირობა. საკმარისია მოვიგონოთ ოცდარვა გვარდიელი პანფილოველის გმირობა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გზა გადაუღობეს ფაშისტთა ტანკებს, ან კომკავშირელი ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირული სიკვდილი. ეს გმირობა მოწმობს საბჭოთა ხალხის ღრმა პატრიოტიზმს მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანელთა ზრახვებს, რომლებიც ცდილობდნენ მოსკოვი მოემწყვდიათ რკინის რკალში, წითელი არმიის სარდლობამ დაუპირისპირა თავისი აქტიური მოქმედება, რაც მოწინააღმდეგის დაჯგუფებებზე მძლავრ დარტყმებში მდგომარეობდა. მოსკოვთან გერმანელების განადგურების სტალინური გეგმა ემყარებოდა უშუალოდ შექმნილი ვითარების ყოველმხრივ შეფასებას, ითვალისწინებდა ჩვენი ხალხის გმირული წარსულის საბრძოლო გამოცდილებას, სამშობლოსადმი მის ერთგულებას.

წითელი არმიის უმაღლესი სარდლობის ხანაში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მტრის მოქმედებას, და 1941 წ. 6 დეკემბერს გაცემულ იქნა ბრძანება გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლის შესახებ, [illegible] დაიწყო და ტარდებოდა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. უმაღლესი მთავარსარდლის ნააზრევმა ჰპოვა ნიჭიერი შემსრულებლები დასავლეთის ფრონტის სარდლობის სახით არმიის გენერალ, ამჟამად მარშალ ჟუკოვის მეთაურობით.

წითელი არმიის დაჰკრულ დარტყმათა შეტევის გამო ჰიტლერელებმა დაიწყეს უწესრიგოდ უკან დახევა დასავლეთისაკენ. უდიდესი იყო მათი ზარალი ცოცხალ ძალასა და ტექნიკის მხრივ. მოკლული, დაჭრილი და დამზრალი ათიათასობით ითვლებოდა. 6 დეკემბრიდან 15 იანვრამდე გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მოსკოვთან დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით 300 ათასამდე კაცი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 4.801 ქვემეხი, 3.071 ნაღმსატყორცნი, 8 ათასამდე ტყვიამფრქვევი, 90 ათასზე მეტი შაშხანა, 2.766 ტანკი, 33.640 ავტომანქანა. მოსპობილ იქნა გერმანელთა 1.100-ზე მეტი თვითმფრინავი. დეკემბრის მეორე ნახევრიდან კონტრშეტევა გადაიქცა საერთო შეტევად მთელ ფრონტზე და დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებით.

უდიდესი იყო მოსკოვთან ისტორიული ბრძოლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები. ეს გამარჯვება საწყისი მომენტი გახდა წითელი არმიის ხელში სტრატეგიული ინიციატივის გადმოსვლისათვის. ბრძოლის წარმატება წინასწარ განსაზღვრული იქნა არა „სისწრაფით", როგორც ამის შესახებ სწერდა ზოგიერთი გაზეთი საზღვარგარეთ, არამედ ისეთი მუდმივად მოქმედი ფაქტორებით, როგორიცაა ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი. სწორედ ამ ფაქტორების მოქმედებამ მოახდინა თავისი გადამწყვეტი გავლენა ბრძოლის შედეგზე. მოსკოვთან გამარჯვებამ შექმნა ხელსაყრელი წინამძღვრები წითელი არმიის შემდგომი წარმატებებისა სტალინგრადისათვის ბრძოლაში, 1942-43 წლის ზამთრის კამპანიის გრანდიოზულ ბრძოლებში, იმ გამარჯვებებში, რომლებითაც საბჭოთა ჯარებმა აღნიშნეს 1944 წელი.

მოსკოვთან დიდი გამარჯვება იყო ბოლშევიკური პარტიის გიგანტური ორგანიზატორული მუშაობის შედეგი, პარტიისა, რომელმაც შესძლო გაეერთიანებინა საბჭოთა ადამიანების ყველა ღონისძიება და წარემართა ისინი ხალხის მიზნისაკენ—მტრის განადგურებისაკენ. ეს გამარჯვება ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობის, წითელი არმიის მეომართა განსაკუთრებული გმირობისა და საბრძოლო ოსტატობის შედეგია.

მოსკოვთან წითელი არმიის გამარჯვებამ გაუფანტა ჰიტლერელთა მიერ დანერგილი ევროპის ხალხებს თავიანთი [illegible] აზრი. ამ გამარჯვებამ გააძლიერა დემოკრატიული სახელმწიფოების ფრონტი, გაამტკიცა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამშრომლობა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უშიშროების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ

★

პროფესორი ს. კრილოვი —
დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის მონაწილე

★

მოსკოვში, 1943 წლის 30 ოქტომბერს, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებმა თავიანთ ერთობლივ დეკლარაციაში, განაცხადეს, რომ „ისინი საჭიროდ სთვლიან რაც შეიძლება მოკლე ხანში შეიქმნას საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად".

მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში — ერთ-ერთ უძველეს სახლთაგანში, რომელსაც ეწოდება დუმბარტონ-ოქსი, 1944 წლის აგვისტო-სექტემბერში შესდგა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა დელეგატების კონფერენცია. კონფერენციაზე შემუშავებულ იქნა წინასწარი წინადადებანი უშიშროების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ეს წინადადებანი თავის ამოცანად ისახავენ საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას. მისი მიზნებია: ა) მშვიდობიანობისათვის საფრთხის აცილება და აღმოფხვრა; ბ) აგრესიის აქტების ან მშვიდობიანობის სხვა დარღვევათა ჩახშობა; გ) მშვიდობიანი საშუალებებით იმ საერთაშორისო დავათა მოწესრიგება, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მშვიდობიანობის დარღვევა; დ) მეგობრული ურთიერთობის განვითარება ერებს შორის საყოველთაო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად; ე) საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება საერთაშორისო ეკონომიური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაჭრაში.

უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად უშიშროების ორგანიზაციაში ჩამოყალიბდება შემდეგი ორგანოები: 1. გენერალური ასამბლეა; 2. უშიშროების საბჭო; 3. საერთაშორისო სასამართლო; 4. ეკონომიური და სოციალური საბჭო; 5. სამდივნო.

თვითეული ამ ორგანოთაგანი შეასრულებს განსაზღვრულ ამოცანებს. გენერალური ასამბლეა შედგენილი იქნება ორგანიზაციის ყველა წევრების წარმომადგენლებისაგან. ის განიხილავს და გაარჩევს ყოველგვარ საკითხს, რომელიც შეეხება საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვას და მისცემს რეკომენდაციებს ასეთი საკითხების შესახებ. მაგრამ, ყოველი საკითხი, რომლის მიხედვითაც საჭიროა დაწყებულ იქნას მოქმედება, უნდა გადაეცეს უშიშროების საბჭოს. სწორედ უშიშროების საბჭოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვისათვის. უშიშროების საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი და სათანადოდ იმოქმედოს. ორგანიზაციის ყველა წევრს ევალება დაეთანხმოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულოს ისინი. უშიშროების საბჭომ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოთა შორის დავათა მშვიდობიანად მოგვარებას, ხოლო მშვიდობიანობისათვის საფრთხისა და აგრესიის არსებობის შემთხვევაში — მიიღოს საჭირო ზომები, სახელდობრ: ა) მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც დაკავშირებული არ არის შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან, მათ შორის სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიოს და ურთიერთობის სხვა საშუალებათა სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა და დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა; ბ) აგრესორების წინააღმდეგ მიმართოს მოქმედებას საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო შეიარაღებული ძალების დახმარებით. ამისათვის ორგანიზაციის ყველა წევრმა განსაკუთრებულ შეთანხმებათა საფუძველზე უნდა გამოჰყოს შეიარაღებული ძალები, ხოლო სასწრაფო სამხედრო ღონისძიებათათვის იყოლიოს ნაციონალური სამხედრო-საჰაერო ძალები დაუყოვნებლივი მზადყოფნის მდგომარეობაში. ამ მიზნით უშიშროების საბჭოს განკარგულებაში იქნება სამხედრო საშტაბო კომიტეტი. უშიშროების საბჭო შესდგება 11 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან. 4 ძირითად სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს, ხოლო შემდეგ მეხუთე სახელმწიფოს — საფრანგეთს მუდმივი ადგილები ექნებათ. ამას გარდა, გენერალური ასამბლეა აარჩევს 6 სახელმწიფოს წარმომადგენლებს ორი წლის ვადით: სამი მათგანი ყოველწლიურად გამოაკლდება, ისე, რომ დაუყოვნებლივ ხელახლა არჩევის უფლება არ ექნებათ და შეიცვლებიან სხვებით. უშიშროების საბჭოს შემადგენლობა სავალდებულოდ ხდის იმას, რომ მისი არც ერთი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება ყველა ძირითადი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე.

ამხანაგმა სტალინმა თავის 1944 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში აღნიშნა, რომ უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება — ეფექტიანი იქნება, „თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნებისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტიანი არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვევა". ამხანაგ სტალინის ნათქვამი მთლიანად და სავსებით შეეხება უშიშროების საბჭოს.

ყველა საერთაშორისო დავათა გარჩევისათვის შეიქმნება საერთაშორისო სასამართლო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის ყველა წევრი.

ეკონომიური და სოციალური საბჭოს ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით მოაგვაროს საერთაშორისო, ეკონომიური, სოციალური და სხვ. პრობლემები და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებანი. ის შესდგება 18 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან, რომლებსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა სამი წლის ვადით.

დასასრულ, სამდივნოს სათავეში ედგომება გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

ამხანაგ სტალინმა თავის 1944 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში აღნიშნა პროექტირებულ უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მოითხოვა რა აგრესიული ერების სრული განიარაღება, როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო-პოლიტიკური მხრივ.

შეეხო რა საკითხს იმის შესახებ, თუ რა საშუალებანი არსებობს ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: შეიქმნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სპეციალური ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს განკარგულებაში გადაცემულ იქნას აგრესიის თავიდან აცილებისათვის მინიმალურად საჭირო რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და დაევალოს ამ ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში — დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს შეიარაღებული ძალები აგრესიის თავიდან ასაცილებლად ან სალიკვიდაციოდ და აგრესიის დამნაშავეთა დასასჯელად".

შეიქმნება თუ არა პროექტირებული უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაცია ახლო მომავალში?

ჩვენს მიერ დასახელებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, რომ „უშიშროების საკითხთა ცხრა მეათედი ამ კონფერენციაზე (დუმბარტონ-ოქსში ს. კ.) სრული ერთსულოვნების სულისკვეთებით გადაწყდა". უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ერთსულოვნების სულისკვეთება უზრუნველყოფს უახლოეს მომავალში უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასა და მის შემდგომ მოქმედებათა ეფექტიანობას.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკდეს). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს ბერგშტეინი, მიურტბურის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საარის ზეობაში მოკავშირეებმა კიდევ ერთ პუნქტში გადაილახეს მდინარე საარზე.

მოკავშირეთა ჯარებმა ჯავშანსატანკო რაზმებმა მიაღწიეს მუნდინგენს, საარგემინდის დასავლეთით. მოკავშირეთა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ეუსტეიკერი. საარუნიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ერმინგენისა და დელინგენის გარეუბნებისაკენ.

მაგენაუს ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარები მერცვილერში შევიდნენ. მტრის ერთ-ერთი ფორტის გარნიზონმა მეტცში, სტრასბურგის დასავლეთით, რომელიც ერთ კვირაზე მეტი არ ნებდებოდა, კაპიტულაცია მოახდინა.

კოლმარის ზემო ნაწილში მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს რამდენიმე მილით. გონეკურისა და კოლ დე ლა შლიხტის მაღლობები გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი გაათავისუფლა დაიდასხმები მოახდინა მტრის სარკინიგზო ობიექტებზე, თავმოყრილ ჯარებზე და გერმანიის სამხედრო ქარხნებზე.

შვედური გაზეთი საბჭოთა ჯარებისა და ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობის ურთიერთობის შესახებ

სტოკჰოლმი, 6 დეკემბერი. (საკდეს). გაზეთი „გეტებორგს-პოსტენი" სწერს:

„ნორვეგიელებმა, რომლებიც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წინააღმდეგობის მოძრაობაში და რომელიც იმას წინათ შვეციაში ჩამოვიდა, განაცხადა, რომ რუსები ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობას ძალიან მეგობრულად ეპყრობიან. პირველ დღეებში, როცა მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, რუსეთის ჯარები აძლევდნენ მოსახლეობას საკვებს თავიანთი მარაგიდან და საცხოვრებლად უზრუნველყოფდნენ, რითაც შეეძლოთ. კირკენესში შენობების მეტი ნაწილი დანგრეულია გერმანელების მიერ. გადარჩენილი სახლები რუსებმა მოსახლეობის განკარგულებაში გადასცეს. თანამშრომლობა რუსებსა და ნორვეგიელებს შორის განსაკუთრებული გულითადობით გამოირჩევა. რუსები მოეპყრნენ როგორც ნამდვილი განმათავისუფლებლები, და მათ დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან".

კალენდარი

ხუთშაბათი
7
დეკემბერი

1941—იაპონია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების სამფლობელოებს ჰავაისა და ფილიპინის კუნძულებზე. დაიწყო იაპონიის ომი ამერიკის შეერთებულ შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგ.

მოსწავლე ძნელაძის გამბედაობა

ამას წინათ ქედის რაიონში ამოვარდა დიდი ქარიშხალი, რასაც თან მოჰყვა წვიმა და სეტყვა. მთებიდან მოხეთქილმა წყალმა ზიანი მიაყენა რაიონის მცხოვრებლებს, რამდენიმე შენობა გაიტაცა, ბევრი დაანგრია. წყალმა გაიტაცა აგრეთვე ქედის შვიდწლიანი სასწავლებლის მასწავლებელი ნიღია ბეჟანიძე, მისი ორი შვილი და არტელ „აჭარის" მუშა, რომნი აღმართი იღუპებოდა. მიშველება თითქმის შეუძლებელი იყო. ქედის ცოტა და ისინი მორევში ჩაიძირებოდნენ.

შვიდწლიური სასწავლებლის ინტერნატში მყოფ მოსწავლეთ შემოესმათ ყვირილი. სასწავლებლის ეზო წყლით იყო დაფარული. მესამე კლასის მოსწავლე კომკავშირელი სულიკო ძნელაძე წყალში გადაეშვა ამოვარდნილ მდინარეში და ყველა გადაარჩინა.

კავკასიონი

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე 1.500 კილომეტრზე გაჭიმული კავკასიონის ქედი მდებარეობს ჩრდილო განედის 47 გრადუსსა 15 მინუტსა—38 გრადუსსა და 25 მინუტს, აღმოსავლეთ გრძედის 36 გრადუსსა 30 მინუტსა და 50 გრადუსსა 70 მინუტს შუა. კავკასიონის ქედის გეოლოგიური აგებულება უმთავრესად შესდგება გრანიტების, კრისტალური გნეისებისა და თიხაფიქლებისაგან.

კავკასიონის მთების ფორმირება ჯერ კიდევ უძველეს გეოლოგიურ ხანაში იწყება და ეს პროცესები შემდგომ პერიოდებში გრძელდება. მაგრამ კავკასიონის თანამედროვე სახეობის ფორმირება ძირითადად მესამეული პერიოდის დასასრულსა და მეოთხეულის დასაწყისში ხდება. მთათა წარმოშობის პროცესები დღესაც არ არის დამთავრებული, რასაც ადასტურებს ხშირი მიწისძვრები (მიწისძვრები) მოწმობენ.

ცამდე ატყორცნილ კავკასიონის ქედს — თავისი მყინვარებით, მუდამ თოვლით დაფარული და მრისხანე მწვერვალებით ძველი ბერძნების მითოლოგიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

ბერძენთა მითის თანახმად ღმერთებმა პრომეთეოსმა ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და მიწაზე ჩამოიტანა. მრისხანე ზევსის ბრძანებით სამჭედლო ხელოვნებისა და ცეცხლის ღმერთმა ჰეფესტომ პრომეთეოსი კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა, სადაც მის ღვიძლს არწივი ჰკორტნიდა. მესიოდესა და ესქილეს ცნობით, რომელსაც იაზონის ზღაპრული არგონავტები ოქროს საწმისის მოსატაცებლად კავკასიონის მთებს მიადგნენ, მათ კარგად ესმოდათ პრომეთეოსის კვნესა-გმინვა. აღნიშნული მითი წარმოშვა ძველ ქართულ ტომებში დევებზე ამირანზე, რომელიც კავკასიონის ქედზე იქნა მიჯაჭვული.

სახელწოდება — „კავკასი" პირველად მოხსენიებული აქვს ძველი საბერძნეთის ჰეკატეოს (630—600 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და ცნობილ მწერალსა და დრამატურგს ესქილეს (525—456 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თავის ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთეოსი".

არისტოტელე (384—322 წ. ჩვ. ერამდე) კავკასიის (იგი უწოდებს, რაც „მეტეოროლოგიის წიგნებში") მთების შესახებ სწერდა, რომ „კავკასიის მთებიდან ბევრი მრავალწყლიანი მდინარე იღებს სათავეს, მათ შორის ფაზისიც (ე. ი. რიონი). ქედი კი, ყველა იმ მთებს შორის, რომლებიც ზაფხულის მზის ამოსვლის მიმართულებით მდებარეობენ (ე. ი. აღმოსავლეთით), ყველაზე შესანიშნავია თავისი სიდიდითა და სიმაღლით".

სტრაბონი კავკასიის მთებში მცხოვრებ ტომებთან დაახლოებით 70 აღნიშნავდა და დასძენდა, რომ „კავკასიის მთიულები მჭიდროდ მცხოვრებ ნაკლებ მიიღებენ. ერთი ეტყვიან ზნე-ჩვეულებებსა და ლაშქრობას ეტანებიან. ოღონდ კი ომიანობის ხმას მოჰკრავენ ყურს, ფიცხლავ მაშინ თავს ანებებენ და ბრძოლაში ერევიან".

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. დარასელი

ბ — 659466

რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175 С